პროექტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო- სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 87-ე მუხლის შესაბამისად, საყოველთაო - სახალხო განხილვისთვის გამოქვეყნდეს:

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტები.

მუხლი 2.

შეიქმნას საყოველთაო - სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ჯემალ გამახარია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);

თამაზ ხუბუა - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

რაისა ქარაია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქციის „ახალი აფხაზეთი - სამართლიანობა“ თავმჯდომარე;

ვახტანგ ყოლბაია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

ნუგზარ მგალობლიშვილი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე;

ანზორ წოწონავა - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქციის „მრგვალი მაგიდა - დიალოგი ერთიანი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე;

ზურაბ მეგონია- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი;

ვეფხვია გვარამია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

გიორგი სუთიძე - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსი;

ალიონა ჩხოტუა - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მინისტრი;

ნოდარ ჯალაღონია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსის მოადგილე;

ლეილა ხუნჯუა - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საქმის წარმოების დეპარტამენტის უფროსი;

თამაზ სანიკიძე - იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი.

მუხლი 3.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია

თბილისი

20.05.2026წ.

განმარტებითი ბარათი

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო - სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი, მისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება (გამოცემა)

დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო - სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის ახლებურად ჩამოყალიბება.

დადგენილების მიღება აუცილებელია „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო - სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნისთვის, რაც თავის მხრივ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული ვალდებულებაა. პროექტების მიღებით იქმნება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო - სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია და ხდება კონსტიტუციური კანონპროექტების გამოქვეყნება.

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი თამაზ ხუბუა.

ა.ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტის შემთხვევაში)

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი არ არის შემუშავებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის მიერ, თუმცა პროექტი გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ა.გ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე დადგენილების პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენა

დადგენილების პროექტი ზეგავლენას არ ახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ბ) პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება (გამოცემა)

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს სხვა ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანას.